

საქართველოს კანონი

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 1998 წელი, №3, მუხ. 30) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაბადების აქტის ჩანაწერში დაუშვებელია წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბავშვის დაბადების ან მისი მშობლების ყოფნის მითითება.“.

2. მე-40 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. იმ პირთა ხელმოწერა განცხადებაზე, რომლებიც წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში იმყოფებიან, დამოწმდება შესაბამისად წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის მიერ.“.

3. 122-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. წერილობითი მოთხოვნით განმეორებითი მოწმობა გაიგზავნება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რის თაობაზეც მას ეცნობება. სამხედრო მოსამსახურეთა განმეორებითი მოწმობები გადაეგზავნება შესაბამისი სამხედრო ნაწილის მეთაურს. წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პირებზე განმეორებითი მოწმობები გადაეგზავნება შესაბამისი წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი